ნახ. 3. სატვირთო ლოკომოტივის მწარმოებლურობის დამოკიდებულება მატარებლის ბრუტოწონაზე. j – რკინიგზის ხაზის (უბნის) არაიდენტურობის კოეფიციენტი

როგორც ნახ. 3-დან ჩანს, მატარებლის ბრუტოწონის გაზრდით ლოკომოტივის მწარმოებლურობა ყველა შემთხვევაში იზრდება, ხოლო j სიდიდის გაზრდით, - მცირდება. j სიდიდის გაზრდა ნიშნავს მოძრაობის გრაფიკის პერიოდის გაზრდას, რაც იწვევს გამტარუნარიანობის შემცირებას, ანუ წლის განმავლობაში გეგმიურზე ნაკლები მატარებლების რიცხვის გატარებას და შესაბამისად, ლოკომოტივის მწარმოებლურობის შემცირებას. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს რკინიგზის ცენტრალური მიმართულების სამ უბანზე, თბილისი-ხაშური, ზესტაფონი-სამტრედია და სამტრედია-ფოთი, ვაგონნაკადების შემჭიდროებული გატარება შეერთებული მატარებლების სახით, როგორც ლოკომოტივის მწარმოებლურობის გაზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვი, შესაძლებელია.

დასკვნა

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილმა ანალიზმა გვიჩვენა, საქართველოს რკინიგზის ექსპლუატაციის დღევანდელ პირობებში სატვირთო ლოკომოტივის

მწარმოებლურობის გაზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეზერვად შეიძლება ჩაითვალოს ვაგონაკადების შემჭიდროებული გატარება შეერთებული მატარებლების სახით. მატარებლის წონის ზრდის 200 ტ-იან დიაპაზონში, ლოკომოტივის მწარმოებლურობის ნაზრდი საშუალოდ შეადგენს 15000 ტ.კმ.ბრუტოს, ხოლო დაყვანილ მწარმოებლურობას ანუ 1 ტ ნაზრდს შეესაბამება 75 ტ.კმ ბრუტო. გაანგარიშებებით ასევე დადგინდა, რომ საქართველოს რკინიგზის მთავარი მაგისტრალის ცალკეულ უბნებზე (თბილისი-ხაშური, ზესტაფონი-სამტრედია და სამტრედია-ფოთი) დღეღამეში თუნდაც ერთი შეერთებული მატარებლის გატარება, ქსელის მასშტაბით მატარებლის საშუალო მასის მნიშვნელობას ზრდის 121,4 ტ-ით, ხოლო ლოკომოტივის მწარმოებლურობას - 21448,18 ერთეულით;

გამოყენებული ლიტერატურა

1. Г. Леиашвили, М. Арчвадзе и др. Пути повышения конкурентоспособности транспортного коридора ТРАСЕКА при перевозке нефти каспия. Варшава, бюллетень ОСЖД №4-5, 2002, стр. 19-20;
2. Павловский И.Г., Перминов А.С., Чернюгов А.Д. Организация движения соединенных поездов. Москва, изд. «Транспорт», 1977. - 128 с.

Повышение производительности локомотива на главном магистрале Грузинской железной дороги при уплотненном пропуске вагонопотоков

**Кенкадзе Петре, Телия Григол, Мазанашвили Давид,
Николаишвили Алекси**

Резюме

В статье рассматриваются возможности повышения производительности локомотива на Грузинской железной дороге; приведены современные методы уплотнения вагонопотоков; проанализированы целесообразности их применения с точки зрения повышения производительности локомотива; обоснованы критерии выбора указанных методов.

IMPROVEMENT OF LOCOMOTIVE CAPABILITIES ON GEORGIA RAILWAY TRUNKWAY BY CONCENTRATION OF CARRIAGES FLOW

Petre kenkadze, Grigol Telia, David Mazanashvili, Aleksni nikolaishvili

Abstract

In the article are considered the possibilities of improvement of capabilities of freight locomotives on Georgian Railways discussed; are stated contemporary methods of carriages flow concentration; are analyzed the advisability of their application in improvement of locomotive's efficiency; are justified the criteria for selecting these methods.

უკ 656.212.5

რკინიგზის ტექნიკური სადგურების მუშაობის ინტენსიფიკაცია ოლეგ ბიჭიაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. № 77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია და გამოკვლეულია რკინიგზის ტექნიკური სადგურების გამტარობისა და გადამუშავების უნარის გაზრდის ძირითადი პრინციპები და ჩამოყალიბებულია აღნიშნულ სადგურთა პერსპექტიული განვითარების მიმართულებები; მოცემულია ტექნიკურ სადგურთა მახარისხებელი მოწყობილობების გადამუშავების უნარის განსაზღვრის დაზუსტებული მეთოდიკა და ანგარიშების საფუძველზე აგებულია მნიშვნელოვანი დამოკიდებულებანი, რომელთაც პრაქტიკული ღირებულება გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: მუშაობის ინტენსიური ტექნოლოგიები, მატარებელთა და ვაგონთა მოცდენები, მატარებელთა განფორმირება-ფორმირება, გამტარობისა და გადამუშავების უნარი.

შესავალი

რკინიგზის სადგურთა შორის თავისი მნიშვნელობითა და ფუნქციონალური დანიშნულებით გამოირჩევა ტექნიკური (საუბნო და მახარისხებელი) სადგურები. მათ შორის კი განსაკუთრებით გამოსაყოფია მახარისხებელი სადგურები, რომლებიც დიდი მოცულობით ასრულებენ სატვირთო მატარებელთა განფორმირება-ფორმირების ოპერაციებს.

რკინიგზების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებმა, სახელდობრ: ვაგონნაკადების სტრუქტურის ცვლილებები, ჯგუფური და მრავალჯგუფიანი მატარებლების ფორმირების გაფართოება, ადგილობრივი ვაგონნაკადის ზომების გაზრდა, საკონტინერო გადაზიდვების გაფართოება, მძიმემასიანი და

შეერთებული მატარებლების ტარების დანერგვა და სხვა, მოითხოვეს ახალი რეზერვების ძიება. ეს განსაკუთრებით აისახება მახარისხებელ სადგურთა სალიანდაგო განვითარების სქემებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ასეთ სადგურთა მუშაობის ტექნოლოგიებისა და მათი სქემების სრულყოფა.

ძირითადი ნაწილი

რკინიგზების ექსპლუატაციის მუშაობის მართვის ოპტიმიზაცია მიიღწევა მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებით, მათ შორის: მახარისხებელ სადგურთა რიცხვის შემცირება და სამანევრო მუშაობის კონცენტრაცია; ლოკომოტივებით მატარებელთა მომსახურების მხრების გაზრდა; საკონტინერო გადაზიდვების სფეროში ლოგისტიკური სისტემების განვითარება და სხვ. ამ ღონისძიებებიდან განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იმსახურებს სატვირთო მატარებლების ფორმირების სადგურთა რიცხვის შემცირება და მანევრების კონცენტრაცია [1].

ტექნიკური სადგურების გამტარუნარიანობა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათთან მიერთებული რკინიგზის ხაზების არსებული გამტარუნარიანობის რეალიზაციისათვის, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის: სადგურის სალიანდაგო განვითარება და სქემების პროგრესულობა; სატვირთო და სამგზავრო მოძრაობის გამიჯვნა რკინიგზის ხაზების სხვადასხვა დონეზე გადაკვეთის (კვანძის გახსნის) ოპტიმალური ვარიანტების გამოყენებით; მახარისხებელი მოწყობილობებისა და საშუალებების ოპტიმალური გამოყენება; სადგურის ტერიტორიაზე გამავალი მთავარი ლიანდაგების რაოდენობა; სადგურის ძირითადი ობიექტების ელემენტების რაციონალური განლაგება; ინტენსიური ტექნოლოგიებისა და დამხმარე მახარისხებელი მოწყობილობათა გამოყენება; სადგურის ძირითადი ელემენტების სიმძლავრეთა რეზერვების არსებობა და სხვა. ამიტომ, როგორც ახალი სადგურის დაპროექტება-მშენებლობისას, ასევე არსებულთა მოდერნიზაცია-განვითარების დროს მკაცრად უნდა დავიცვათ სადგურების განვითარებისადმი წაყენებული თანამედროვე მოთხოვნები და ამით

უზრუნველვყოთ რკინიგზის ხაზების სათანადო გამტარუნარიანობა საჭირო რეზერვების გათვალისწინებით.

სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს ისეთი საკითხები, როგორცაა: ვაგონნაკადების ორგანიზაციაში მარშრუტიზაციის დონის გაზრდა და ტექნიკურ სადგურებში ვაგონნაკადების გადამუშავების რაოდენობის შემცირება; ტექნიკური სადგურების მოდერნიზაცია, მათი სქემების სრულყოფა და სათანადო მახარისხებელი მოწყობილობებით აღჭურვა; სატრანზიტო მატარებელთა გატარება ძირითადი მახარისხებელი სადგურის შემოვლით მთავარი ლიანდაგების მეშვეობით; კუთხური სატრანზიტო მატარებლების გატარება სადგურში შეუსვლელად; ვაგონნაკადების გადამუშავების კონცენტრაცია ნაკლები რაოდენობის მძლავრ სადგურებზე და სხვ.

აღნიშნულ საკითხთა რაციონალური გადაჭრის პირობებში მახარისხებელი და საუბნო სადგურების გამტარუნარიანობა უნდა უზრუნველყოფდეს მათთან მიერთებული რკინიგზის ხაზების სათანადო გამტარუნარიანობას, ე.ი. უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს.

$$N_{\text{მახარ.}} \geq \sum N_{\text{ბაზ.}} \quad (1)$$

$$N_{\text{საუბნო}} \geq \sum N_{\text{ბაზ.}} \quad (2)$$

(1) და (2) პირობების უზრუნველყოფას შეიძლება მივაღწიოთ სხვადასხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ და რეკონსტრუქციულ ღონისძიებათა გატარების საფუძველზე, რომელთა შერჩევაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებსა და სხვა მრავალ ფაქტორზე.

დღეისათვის ვაგონნაკადების გადამუშავების კონცენტრაცია ხორციელდება სამანევრო სამუშაოთა (მატარებელთა განფორმირება და ფორმირება) თავმოყრით ნაკლები რაოდენობის, მაგრამ შედარებით მძლავრ სადგურებზე, რაც ზრდის ვაგონის ტრანზიტულობის კოეფიციენტს, აჩქარებს ვაგონნაკადის გატარებას რკინიგზის უბნებზე, აუმჯობესებს ვაგონის ბრუნვას და ამცირებს საექსპლუატაციო ხარჯებს.

თანამედროვე პირობებში ცალკეული მახარისხებელი სადგურების (საზღვარგარეთის ქვეყნები – რუსეთი, აშშ, კანადა, გერმანია, საფრანგეთი და სხვ.). ვაგონთა სადღეღამისო გადამუშავება შეადგენს 5-7 ათას ვაგონს და მეტს. მაგრამ აღნიშნულ სადგურთა უმეტესობას არ გააჩნია საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა და სიმძლავრე მზარდი გადასამუშავებელი ვაგონნაკადის ასათვისებლად [2].

რკინიგზის ტექნიკური სადგურების მწარმოებლურობის სწორ განსაზღვრას აქვს უდიდესი მნიშვნელობა მატარებელთა ფორმირების რაციონალური გეგმის და მათი შემდგომი განვითარების რეკონსტრუქციული ღონისძიებების ჩატარების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, მახარისხებელი სადგურის მნიშვნელოვანი ობიექტია მახარისხებელი გორაკი, რომლის სიმძლავრეზე მთლიანადაა დამოკიდებული სადგურის გამტარუნარიანობა. თავის მხრივ, აღნიშნული ობიექტის მწარმოებლურობა დამოკიდებულია მისი ტექნიკური აღჭურვილობის დონეზე (მექანიზირებული, ავტომატიზირებული და ა.შ.). აღნიშნულ მოთხოვნათა გათვალისწინებით მახარისხებელი გორაკის გადამუშავების უნარი შეიძლება განისაზღვროს ჩვენს მიერ დაზუსტებული ფორმულით:

$$N_{\text{გორ.}} = \frac{(\alpha_{\text{გორ.}} \cdot 1440 - \sum t_{\text{მუდმ.}}) \cdot m_{\text{მემ.}}}{t_{\text{განფორმ.}} (1 + \gamma_{\text{გორ.}})}, \quad (2)$$

სადაც $\alpha_{\text{გორ.}}$ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს შესაძლო შესვენებებს

გორაკის გამოყენებისას მტრული გადაკვეთების გამო ($\alpha_{\text{გორ.}} = 0,97$);

$\sum t_{\text{მუდმ.}}$ – დრო დღე-ღამის განმავლობაში გორაკზე ტექნოლოგიური

ოპერაციების შესასრულებლად ($\sum t_{\text{მუდმ.}} = 90-120$ წთ.);


$m_{\text{მემ.}}$ – შემადგენლობაში ვაგონთა საშუალო რაოდენობა;

$t_{\text{განფ.}}$ – საშუალო დრო ერთი შემადგენლობის განფორმირებაზე;

$\gamma_{\text{გორ.}}$ – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ტექნიკური მოწყობილობების

მტყუნებებს, ვაგონთა გადაუხსნელობას და სხვ. ($\gamma_{\text{გორ.}} = 0,04 \div 0,12$).

(2)-ე ფორმულის საფუძველზე ჩატარდა ანგარიშები და აგებულ იქნა გორაკის გადამუშავების უნარის დამოკიდებულების დიაგრამები სამატარებლო შემადგენლობათა განფორმირების დროზე, რომელიც გამოსახულია ნახ. 1-ზე.



ნახ. 1. მახარისხებელი გორაკის გადამუშავების უნარის ($N_{\text{გორ.}}$) დამოკიდებულების დიაგრამები მატარებელთა განფორმირების ხანგრძლივობაზე ($t_{\text{განგ.}}$)

დასკვნა

რკინიგზის ტექნიკური სადგურების მუშაობის ტექნოლოგიებისა და მათი სალიანდაგო განვითარების სქემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი ხასიათდებიან არასაკმაო ტექნიკური აღჭურვილობით და ვერ პასუხობენ რკინიგზების ექსპლუატაციის თანამედროვე მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით ნაშრომში ჩამოყალიბებულია აღნიშნულ სადგურთა პერსპექტიული განვითარების ძირითადი მიმართულებები, მოცემულია ტექნიკურ სადგურთა მახარისხებელი მოწყობილობების სიმძლავრის გაანგარიშების დაზუსტებული მეთოდიკა და

აგებულია დიაგრამები, რომლებმაც გვიჩვენეს, რომ მატარებელთა განფორმირების დროის ($t_{განფ.}$) ზრდა 10-დან 30 წთ-დე, ანუ 66 %-ით, იწვევს მახარისხებელი გორაკის მწარმოებლურობის თითქმის განახევრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. თელია, ზ. მესხიძე, ბ. დიდუბაშვილი, კ. შარვაშიძე. რკინიგზის გამყოფი პუქტები. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი. 2016. - 249 გვ.
2. Шубко В.Г. Правдин Н.В. Архангельский Е.В. и др. Железнодорожные станции и узлы. /Под ред. В.Г. Шубко и Н.В. Правдина. М.: УМК МПС России. 2002. – 368 с.

ИНТЕНСИФИКАЦИЯ РАБОТЫ ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫХ ТЕХНИЧЕСКИХ СТАНЦИЙ

Олег Бичиашвили

Резюме

В статье рассмотрены и изысканы основные принципы увеличения пропускной и перерабатывающей способности железнодорожных технических станций и сформулированы направления перспективных разработок указанных станций; дана уточненная методика определения перерабатывающей способности сортировочных устройств технических станций и на основе расчетов построены значительные зависимости, у которых имеется практическая ценность.

INTENSIFICATION OF RAILWAY TECHNICAL STATIONS OPERATION

Oleg Bichiashvili

Abstract

In this article are considered and studied the key principles for increasing the productivity and processing ability of a railway technical station and are formulated directions for the prospective guidelines for the mentioned stations; is stated the refined methodology for determination of processing ability of marshalling devices of mentioned stations and based on calculations are constructed important dependencies that have the practical value.

უკ 625; 330

საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და განვითარების შესაძლო მიმართულებები

მეგი იაკობაშვილი, ლაშა როხვაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მხოლოდ 4200 \$-ია, რაც რამდენჯერმე ჩამორჩება არა მარტო ინდუსტრიული სახელმწიფოების ანალოგიურ მაჩვენებლებს, არამედ საშუალო მსოფლიო მაჩვენებელსაც. ეკონომიკური წინსვლის ძირითადი ბერკეტი მრეწველობის დარგის განვითარებაშია, რომლისთვისაც უპირველეს გადასაჭრელ მაკროეკონომიკური ხასიათის პრობლემებად გვესახება; საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება; ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება; ფულად-საკრედიტო ურთიერთობის სიმტკიცის ზრდა და სამეურნეო სამართლიანობის ოპერატიულობის უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მენეჯმენტი, მრეწველობა, ეფექტიანობა, კონკურენტუნარიანობა.

შესავალი

საქართველო მიეკუთვნება სუსტი ეკონომიკის ქვეყანას, რაც მას განვითარებად ქვეყნების რიგში აყენებს. აქედან გამომდინარე ეკონომიკის ვერცერთი სექტორი, მათ შორის მრეწველობაც, სათანადოდ ვერ განვითარდა. შესაბამისად არასაკმარისია საბიუჯეტო შემოსავლები, მაღალია უმუშევრობა, ხოლო დასაქმებულთა ანაზღაურება-არასახარბიელო. იმ მიზნით, რომ ქვეყანამ უახლოეს პერიოდში დაძლიოს ეკონომიკური ჩამორჩენა, საჭიროა გატარდეს საგანგებო-არაორდინარული ღონისძიებები ეკონომიკისა და მისი ცალკეული

დარგების, უპირველესად მრეწველობის განვითარების დაჩქარებისათვის. ამისათვის კი საჭიროა შეიქმნას მიმზიდველი საინვესტიციო და ბიზნესგარემო.

ძირითადი ნაწილი

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ყველაზე უკეთ ახასიათებს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლით ქვეყნების მდგომარეობა ყოველწლიურად ფასდება მსოფლიო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციების მიერ. ამ ორგანიზაციათა შეფასებით მშპ-ს აბსოლუტური მაჩვენებლები ზოგადად ასე გამოიყურება:

ცხრილი 1

მშპ-ს აბსოლუტური მაჩვენებლები 2018 წ.
(მლნ \$)¹

მსოფლიო სა ვალუტო ფონდი			მსოფლიო ბანკი			გაერო		
N	ქვეყანა	მოცუ- ლობა	N	ქვეყანა	მოცუ- ლობა	N	ქვეყანა	მოცუ- ლობა
1	აშშ	20580	1	აშშ	20453	1	აშშ	18037
2	ჩინეთი	13368	2	ჩინეთი	12238	2	ჩინეთი	11158
3	იაპონია	4972	3	იაპონია	4872	3	იაპონია	4383
4	გერმანია	3951	4	გერმანია	3677	4	გერმანია	3364
5	დიდი ბრიტანეთი	2829	5	დიდი ბრიტანეთი	2622	5	დიდი ბრიტანეთი	2858
6	საფრანგეთი	2780	6	ინდოეთი	2601	6	საფრანგეთი	2419
7	ინდოეთი	2719	7	საფრანგეთი	2583	7	ინდოეთი	2116
8	იტალია	2076	8	ბრაზილია	2056	8	იტალია	1822
9	ბრაზილია	1868	9	იტალია	1935	9	ბრაზილია	1773
.
.
.
117	საქართველო	15,1	118	საქართველო	15,1	118	საქართველო	16,5

¹ მონაცემები აღებულია საიტიდან:

[https://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_\(номинал\)](https://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_(номинал)). გადამოწმებულია 02.11.2019

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ციფრობრივი მონაცემები განსხვავებულია, ტენდენცია— ერთიდაიგივეა. ანუ მსოფლიოში ეკონომიკურად უძლიერესი სახელმწიფოა აშშ, რომლის მიერ შექმნილი მშპ ოც ტრილიონ დოლარს აღემატება. შემდეგ მოდის ისეთი ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოები, როგორცაა: ჩინეთი, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და სხვ. საქართველო ამ ჩამონათვალში მოკრძალებულ 117-ე - 118-ე ადგილს იკავებს.

ერთია მშპ-ს აბსოლუტური მაჩვენებლები და მეორეა მისი ფარდობითი სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ეს უკანასკნელი უფრო მეტად ახასიათებს ქვეყნებში არსებულ ცხოვრების დონეს. იგივე წყაროს მონაცემებით აღნიშნული სიდიდე ასე გამოიყურება:

ცხრილი 2

მშპ-ს ხვედრითი მაჩვენებელი ქვეყნების მსყიდველობითი უნარის მიხედვით (ათასი \$)²

მსოფლიო სავალუტო ფონდი			მსოფლიო ბანკი			ეკონომიკური ურთიერთობებისა და განვითარების ორგანიზაცია		
N	ქვეყანა	მოცულობა	N	ქვეყანა	მოცულობა	N	ქვეყანა	მოცულობა
1	ყატარი	129638	1	ყატარი	126538	1	ლუქსემბურგი	113138
2	მაკაო	115913	2	მაკაო	122435	2	ირლანდია	83081
3	ლუქსემბურგი	106372	3	ლუქსემბურგი	111103	3	შვეიცარია	68079
4	სინგაპური	101387	4	სინგაპური	101853	4	ნორვეგია	65515
5	ირლანდია	79617	5	ირლანდია	83203	5	აშშ	62853
6	ბრუნეი	78350	6	ბრუნეი	80778	6	საუდის არაბეთი	60438
7	ნორვეგია	74357	7	არაბ. ემირატები	74943	7	ისლანდია	57453
8	საუდის არაბეთი	69222	8	კუვეიტი	73705	8	ჰოლანდია	56326
9	კუვეიტი	66652	9	შვეიცარია	68096	9	ავსტრია	55513
103	საქართველო	11429	107	საქართველო	11421			

² იხ. საიტი: [https://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_\(ППС\)_на_душу_населения](https://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_(ППС)_на_душу_населения).
გადამოწმებულია 02.10.2019.

იგივე საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით საქართველო მოსახლეობით მსოფლიოს 200-მდე ქვეყანას შორის 107-ე - 110-ე ადგილს იკავებს. მოყვანილი მონაცემებიც ადასტურებს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა განვითარების ძალიან დაბალ საფეხურზეა.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. ასე მაგალითად:

1987 წლის სტატისტიკური მონაცემებით საერთო საზოგადოებრივი პროდუქციის მოცულობა საქართველოში შეადგენდა 22 645,1 მლნ. მანეთს.³ მათ შორის მრეწველობის პროდუქცია იყო 13 722,6 მლნ. მანეთი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინდელი მანეთისა და დღევანდელი \$-ის თანაფარდობა 1 : 5 მაინც იყო. გამოდის, რომ საერთო საზოგადოებრივი პროდუქციის მოცულობა ყოფილა 113 225,5 მლნ. \$, ხოლო მრეწველობის- 68 613, 0 მლნ. \$, ხოლო პროცენტულად მრეწველობის წილი ეკონომიკაში 60 % -ს აღემატებოდა.

2017 წელს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემებით საქართველოში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის საბაზრო ღირებულება 37 846,6 მლნ.ლარი იყო,⁴ საიდანაც მრეწველობაზე მოდიოდა 4 756,4 მლნ. ლარი (12,6%). თუ 1987 წელს მრეწველობა ეკონომიკის 60%-ზე მეტი იყო, დღეისათვის მას დათმობილი აქვს პოზიციები და მას წინ უსწრებს ვაჭრობა, ხოლო აბსოლუტურ მაჩვენებლებში მრეწველობა ბოლო 30 წლის მანძილზე შემცირდა დაახლოებით 12-ჯერ.

მრეწველობაში გამოშვებული პროდუქცია შემადგენელი სექტორების მიხედვით მოყვანილია შემდეგ ცხრილში:

³ Народное Хозяйство Грузинской ССР. 1987 г. Тбилиси 1988 . ст. 14

⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური წელიწადული 2018. თბილისი 2018. გვ. 121

ცხრილი 3.

გამომწვევული პროდუქციის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით
(მოქმედ ფასებში; მლნ. ლარი)⁵

	2013	2014	2015	2016	2017
მრეწველობა სულ(B+C+D+E)	7 279,9	8 164,6	8 577,8	9 245,4	10 805,0
სექცია B. სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება აქედან:	325,3	402,2	652,7	633,4	690,6
ნახშირის და ლიგნიტის მოპოვება	41,9	36,2	41,0	37,6	33,7
ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება	75,2	91,4	100,7	31,1	30,6
ლითონის მადნების მოპოვება	239,0	145,1	350,5	401,4	446,9
სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა დარგები და დამხმარე მომსახურება	79,2	129,5	160,5	163,3	179,4
სექცია C. დამამუშავებელი მრეწველობა აქედან:	5 801,1	6 551,6	6 536,7	7 049,2	8 402,3
კვების პროდუქტების წარმოება	1 548,3	1 762,4	1 888,6	2 099,1	2 045,0
სასმელების წარმოება	1 064,0	1 338,8	1 157,7	1 293,6	1 614,7
თამბაქოს ნაწარმის წარმოება	57,9	52,8	40,1	29,3	34,6
ტექსტილის წარმოება	13,0	13,9	21,0	28,7	33,3
ტანსაცმლის წარმოება	80,1	95,6	125,1	128,5	168,8
ტყავის და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება	14,9	16,8	22,8	18,7	14,8
ხის და კორპის ნაწარმის წარმოება, ავეჯის გარდა; ნაკეთობების წარმოება ჩალის და წნული მასალებით	68,8	71,9	80,6	93,9	98,3
ქაღალდის და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	51,0	60,1	64,9	76,8	88,7
ბეჭდვა და მედია-ჩანაწერების აღწარმოება	110,2	103,1	103,7	107,4	129,8
კოქსის და ნავთობპროდუქტების წარმოება	1,5	4,6	16,4	60,8	70,3
ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება	344,3	337,5	379,4	309,1	367,6
ფარმაცევტული პროდუქტებისა და პრეპარატების წარმოება	107,2	137,9	147,5	145,6	199,3
რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	146,6	223,0	232,9	304,1	319,3
სხვა არალითონური პროდუქტების წარმოება	679,9	784,0	890,2	975,7	1 099,0

⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური წელიწადული 2018. თბილისი 2018. გვ.148-149

„ ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა “ - №3 (46) 2019

ძირითადი ლითონების წარმოება	953,8	984,4	799,1	740,4	1 395,3
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანების და მოწყობილობების გარდა	103,2	140,3	196,6	232,3	287,7
კომპიუტერების, ელექტრონული, ოპტიკური პროდუქციის და ელექტრონული მოწყობილობების წარმოება	57,1	81,9	46,6	47,3	63,1
მანქანების და მოწყობილობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩურთველი	14,8	20,6	20,0	14,7	20,8
ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მისაბმელების და ვახევარმისაბმელების და სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება	95,1	51,7	25,4	30,4	27,1
ავეჯის წარმოება	105,4	138,2	145,9	158,0	169,0
სხვა მზა ნაკეთობების წარმოება	10,8	15,6	12,1	12,5	16,5
მანქანების და მოწყობილობების რემონტი და დაყენება	173,1	116,5	120,1	142,3	139,3
სექცია D. ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება აქედან:	955,6	1 030,9	1 098,9	1 263,3	1 347,5
ელექტროენერჯის წარმოება, გადაცემა და განაწილება	811,3	884,6	1 037,1	1 192,9	1 261,0
აირის წარმოება; აირისებრი სათბობის განაწილება მაგისტრალური ხაზებით	143,8	145,8	61,2	69,9	85,9
ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	0,5	0,5	0,6	0,5	0,6
სექცია E. წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობა	197,9	179,9	289,5	299,5	364,7

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მანქანებისა და მოწყობილობების წარმოებამ შეადგინა მხოლოდ 14,4 მლნ. ლარი. ეს იმ მრეწველობის სექტორია, რომელიც ყველაზე უკეთ ახასიათებს მრეწველობის პროგრესულობას და მისი ასეთი მცირე ხვედრითი წილიც მიანიშნებს მრეწველობაში კრიზისზე.

მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის აუცილებელია, როგორც მაკრო-ისე მიკრო ეკონომიკური ღონისძიებების გატარება.

მაკროეკონომიკური ღონისძიებებიდან გვესახება შემდეგი
მიმართულებები:

- საგადასახადო გარემოს გაუმჯობესება;
- ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოწესრიგება და ეროვნული ვალუტის სტაბილიზაცია;
- საბაზრო ინფრასტრუქტურის სრულყოფა;
- ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფის ოპერატიულობა.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადთა განაკვეთებია: დღგ - 18%; მოგების გადასახადი - 15%; საშემოსავლო -20%; ქციზი და სხვ.

არსებული გადასახადთა განაკვეთები შეესაბამება ევროკავშირის მოწინავე ქვეყნების საგადასახადო განაკვეთებს, მაგრამ ნაკლებად უწყობს ხელს მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებას.

ამ მიმართულებით აუცილებლად გვესახება საგადასახადო გარემოს გაუმჯობესება მისი შემდგომი ლიბერალიზაციის და სექტორული დიფერენციაციის მიმართულებით. პრაქტიკაში კი საწინააღმდეგო მცდელობებს აქვს ადგილი.

საქართველოში, ისე როგორც მსოფლიოს უმრავლეს სახელმწიფოში, ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე პასუხისმგებელია ეროვნული ბანკი, ხოლო უშუალოდ საკრედიტო ოპერაციებს ახორციელებს კომერციული ბანკები. ეროვნულმა ვალუტამ-ლარმა, დღიდან მისი მიმოქცევაში შემოსვლისა (1995 წ.) რამდენჯერმე განიცადა შოკირებული დევალვაცია, რომელიც ზოგჯერ აჭარბებდა 100-110% - იან ნიშნულსაც. ვალუტის ასეთი რყევა გლობალურად იწვევს წინააღმდეგობებს სამრეწველო საწარმოების საბრუნავ სახსრებში და უკიდურესად ართულებს მასალებით, ნახევარფაბრიკატებით, ნედლეულითა და მაკომპლექტებელი ნაკეთობებით სამრეწველო საწარმოთა მომარაგებას. ჩვენთან ძალიან მაღალია საბანკო

სესხებზე საპროცენტო განაკვეთები (წლიური 10-12%), რაც მას მიუწვდომელს ხდის საწარმო სიმძლავრეების გაზრდისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ დეკლარირებულია თავისუფალი ეკონომიკური განვითარება და თავისუფალი ინიციატივა, დღემდე არ ფუნქციონირებს საბაზრო ინფრასტრუქტურის ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა: სასაქონლო ფასიანი ქაღალდები და შრომითი ბირჟები.

საქართველოში არ არსებობს საარბიტრაჟო სასამართლოები, ამიტომ სამეურნეო დავებს იხილავს საერთო სასამართლოების სამოქალაქო კოლეგიები, დავების განხილვა წლობით გრძელდება. ეს კი, ხშირ შემთხვევაში, დამლუპველად მოქმედებს სამეწარმეო ბიზნესზე.

მრეწველობაზე მოქმედი მიკროეკონომიკური ფაქტორებიდან უპირველესად გვესახება მენეჯერთა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთა მომზადების დაბალი დონე, ასევე ძირითადი საშუალებების მოძველებული პარკი და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების არასაკმარისი გამოყენება.

დასკვნა

საქართველოში მრეწველობა საჭიროებს დაჩქარებულ განვითარებას , რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევას, დასაქმებულთა ზრდასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. ამ მიმართულებით სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მრეწველობისათვის შეღავათიან საგადასახადო გარემოს, უზრუნველყოფილ იქნას ეროვნული ვალუტის სტაბილურობა და ინფლაციის დაბალი დონე, ფუნქციური გახდეს სასაქონლო ბირჟები და სახელმწიფოს ეგიდით ჩამოყალიბდეს შრომითი ბირჟები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. [https://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_\(номинал\)](https://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_(номинал)) გადამოწმებულია 02.11.2019;
2. [https://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_\(ППС\)_на_душу_населения](https://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_(ППС)_на_душу_населения) გადამოწმებულია 02.11.2019 ;
3. Народное Хозяйство Грузинской ССР. 1987 г. Тбилиси, 1988;
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური წელიწდეული 2018. თბილისი, 2018.

Georgia's industry and possible development directions

Megi Iakobashvili, Lasha Rokhvadze

Abstract

GDP of Georgian on one inhabitant is calculated to be 4200 \$, which is less than not only the analogous indicator of industrious states but also the average indicator of the world. The main level of the economic progress is in the development of the industry sector, for what the main macroeconomic problems to be solved are: the development of the market infrastructure, the accomplishment of liberal tax policy, increasing of the relations strength of monetary affairs and providing of economic justice.

СОСТОЯНИЕ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ И ВОЗМОЖНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ РАЗВИТИЯ

Меги Якобашвили, Лаша Рохвадзе

Резюме

ВВП Грузии на душу населения составляет всего 4400 долларов США, что в несколько раз отстает не только от промышленно развитых стран, но и от среднемирового уровня. Ключ к экономическому росту лежит в развитии промышленности, для которой макроэкономические проблемы имеют первостепенное значение; развитие рыночной инфраструктуры; реализация либеральной налоговой политики; повышение прочности денежно-кредитных отношений и обеспечение эффективности экономической справедливости.

უაკ 336.7

საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მართვისა და ორგანიზაციის მიმართულებები მაყვალა სვანიძე, სალომე დავითულიანი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი ფაქტორია სატრანსპორტო მომსახურების სფეროში სამეწარმეო საქმიანობის მართვისა და ორგანიზაციის ფორმები. აგრეთვე, სატრანსპორტო სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც გადაზიდულ ტვირთების მოცულობაზე-ტვირთბრუნვაზე, ისე გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაზე-მგზავრთბრუნვაზე, რომლებისთვისაც შედგენილია ეკონომიკურ-მათემატიკური წრფივი მრავალფაქტორული მოდელები. მოცემულია მოდელების იდენტიფიცირების კრიტერიუმებით შეფასებები.

საკვანძო სიტყვები: სატრანსპორტო ბაზრის ოპერატორი, მოდელების ვერიფიკაცია, მოდელების იდენტიფიცირება, დეტერმინაციის კოეფიციენტი, აპროქსიმაციის ცდომილება, ფიშერის კრიტერიუმი.

შესავალი

საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს სატრანსპორტო სამგზავრო მომსახურების სფეროში სამეწარმეო საქმიანობის მართვისა და ორგანიზაციის ფორმები, რომლებიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ისინი ხასიათდებიან რიგი ნაკლოვანებებით და არ შეესაბამებიან ერთიანი სატრანსპორტო სისტემის მომსახურების განვითარების თანამედროვე მოთხოვნებსა და საბაზრო ეკონომიკას.

ერთიანი სატრანსპორტო სისტემის საზოგადოებრივი სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურების სფეროს ყოველ მონაწილეს გააჩნია თავისი ინტერესები, მათ შორის შეიძლება გამოიყოს:

სატრანსპორტო ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველები დაინტერესებულნი არიან შეამცირონ საბიუჯეტო ხარჯები და, შესაბამისად გაზარდონ საბიუჯეტო შემოსავლები (გადასახადებით), ასევე დაიცვან ეკოლოგიური სტანდარტები.

ძირითადი ნაწილი

სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურების ოპერატორები (მაკოორდინირებელი სტრუქტურები) ორიენტირებულნი არიან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურების განახლებისა და მოწესრიგებისაკენ, ეკონომიკური ზრდის ამოცანების გადაჭრაში, მოსახლეობის ხარისხიანი და უსაფრთხო მომსახურების მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ და სხვ.

სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებელი საჭიროებს უსაფრთხო და კომფორტულ მომსახურებას, როგორც საქალაქო ტრანსპორტზე, ისე საქალაქთაშორისოზე.

საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზაციის პერსპექტიული განვითარების ძირითადი ასპექტების დახასიათების დროს, მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნეს ევროპის ქვეყნების, ჩვენი სახელმწიფოსათვის მისაღები ზოგიერთი გამოცდილება, მათგან სატრანსპორტო წარმოების ორგანიზაციის შემდეგ ფორმებს გამოვყოფთ: ა) საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, რომლის დროსაც მისაღებია ორგანიზაციის მონოპოლიური სამეწარმეო საქმიანობა. ორგანიზაციის ეს ფორმა ექვემდებარება საკანონმდებლო აქტებს. ხასიათდება დაბალი შემოსავლებით და შეზღუდულია თავისუფალი საბაზრო კონკურენციით; ბ) სამარშრუტო კონტრაქტები. სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზაციის ასეთ ფორმას მიმართავენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. ხშირად ამ ფორმაში გამოიყენებენ კონკურენციული მარკეტინგის პროცედურებს; გ) ქსელური

სამარშრუტო კონტრაქტი. სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურეობის ორგანიზაციის ასეთი ფორმა გავრცელებულია საფრანგეთში და, შესაბამისად მას „ფრანგულ მოდელს“ უწოდებენ. როგორც წესი, კონტრაქტის ამ ფორმის ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია გადამყვან (გადაზიდვების) დიდი საწარმოო ხარჯები და შედეგად მოგება დაბალია. ამ ფორმაში, აგრეთვე იყენებენ გადამზიდვების ავტონომიურ გადაწყვეტილებებს, რის შედეგადაც ლეზულობენ მაღალ მოგებასაც; დ) ინიციატივების გამოყენების ორგანიზაციის ფორმა, ანუ ყველა მონაწილისათვის მისაღები ინიციატივების გამოყენება; ე) სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურეობის ორგანიზაციის ფორმა, როცა სატრანსპორტო დარგის სუბიექტები თვითონ აწესებენ ტარიფებს.

სატრანსპორტო მომსახურეობის მართვა და ორგანიზაცია შეიძლება სქემატურად აისახოს შემდეგი თანმიმდევრობით (იხ. სქემა 1).

სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურეობის ძირითად მიმართულებების ღონისძიებების დამუშავებები გულისხმობს:


1. ეკონომიკურ ღონისძიებებს – ეფექტიანობის ამაღლების მექანიზმებს, სატრანსპორტო მომსახურეობის თვითღირებულებების შემცირებას, დაგეგმვის სისტემის სრულყოფას და სხვ.

2. სამართლებრივი ღონისძიებები: სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველყოფა კეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვა; საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება.

3. ორგანიზაციული ღონისძიებები: სატრანსპორტო მომსახურეობის სფეროში მმართველობითი სტრუქტურების გაუმჯობესება; სატრანსპორტო საგზაო მოძრაობის რეგულირება სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გადაიარაღება; საიმედო და კომფორტული მომსახურეობა; სატრანსპორტო ქსელის განვითარება-გაფართოება და სხვ.

4. სოციალურ ღონისძიებებში გაითვალისწინება სატრანსპორტო მძღოლების კვალიფიკაციის ამაღლება; გადაყვანების დროის შემცირება და სხვ.

5. ეკოლოგიის ძირითადი მიმართულებების ღონისძიებებია გარემოში მავნე გამონაბოლქვის შემცირება; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვ.



ნახ. 1. სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურეობის მართვისა და ორგანიზაციის მექანიზმები

საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების სფეროში საკმაოდ ბევრი პრობლემაა დაგროვილი, რომლებიც ხელს უშლიან მის მკვეთრ გაზრდას. გარდა ზემოთ აღნიშნული პრობლემებისა უნდა აღინიშნოს: ა) არსებული საგადასახადო სისტემა; ბ) საბაზრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი განაკვეთი; დ) სატრანსპორტო საშუალებათა მორალური და ფიზიკური ცვეთის მაღალი დონე; ე) კადრების კვალიფიკაციისა და მენეჯმენტის დაბალი დონე.

აქედან გამომდინარე, სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზაციისა და მენეჯმენტის სფეროში პრობლემების გადასაჭრელად უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები: ჯერ ერთი, უნდა შეიქმნას ტვირთმზიდების დამოუკიდებელი ეროვნული საავტომობილო პარკი, რომელიც ტრანზიტის სფეროში საგზაო მომსახურებას გაუწევს ევროპისა და აზიის ქვეყნების ტრანსნაციონალურ კომპანიებს; მეორე, საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში მოზიდულ უნდა იქნეს უცხოური ინვესტიცია, რისთვისაც საჭიროა ქვეყანაში შეიქმნეს ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი, მიღწეულ იქნეს პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა. როგორც საბიუჯეტო, ისე უცხოური ინვესტიცია სატრანსპორტო სისტემისათვის უნდა იყოს არაერთჯერად (სატრანსპორტო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე).

საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ეფექტიანობის ამაღლება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც გადაზიდული ტვირთების მოცულობაზე (ტვირთბრუნვაზე), ისე გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაზე (მგზართბრუნვაზე).

2003-2017 წწ. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ტვირთბრუნვაზე და მგზავრთბრუნვაზე მოქმედი 12-12 ფაქტორების გათვალისწინებით ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები (იხ. ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ №1(44). 2019). „ლოგიკური ანალიზისა და ფაქტორების მიმდევრობით ამორიცხვის“¹ საფუძველზე ტვირთბრუნვაზე (γ_1) მოქმედ მნიშვნელოვან ფაქტორებად შეირჩა: ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი x_1 (მლნ.

ლარი); პირდაპირი უცხოური ინვესტიცია x_2 (მლნ. აშშ დოლარი); რესურსები ტრანსპორტში x_3 (მიმდინარე ფასი, ლ.); დასაქმებულთა რიცხოვნება x_4 (ათასი კაცი); ძირითადი აქტივები ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში x_5 (მლნ. ლარი). ხოლო ტვირთბრუნვაზე y_2 – მთლიანი შიდა პროდუქტი x_1 (მლნ. ლარი); პირდაპირი უცხოური ინვესტიცია x_2 (მლნ. აშშ დოლარი); დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნება x_3 (ათასი კაცი); ძირითადი აქტივები ტრანსპორტში x_4 (მლნ. ლარი); ექსპორტი x_5 (ათასი აშშ დოლარი); იმპორტი x_6 (ათასი აშშ დოლარი).

უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით განისაზღვრა წრფივი – რეგრესული მოდელები მგზავრბრუნვის – y_1 და ტვირთბრუნვის – y_2 .

$$y_1 = 4808,53 - 0,18711x_1 + 2,57085x_2 - 0,28484x_3 + 20,9739x_4 + 0,513x_5$$

$$y_2 = 2893,3278 - 0,06473x_1 + 0,23794x_2 - 52,16981x_3 + 0,198312x_4 + 0,0004534x_5 - 0,00000688x_6$$

რეგრესული მოდელების ვერიფიკაციის განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ შემდეგი მონაცემები:

– აპროქსიმაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა (ერთობლივი კორელაციის კოეფიციენტის კვადრატის) $R_1^2 = 0,9182$, რაც იმას მოწმობს, რომ y_1 – მგზავრბრუნვა 91,82%-ით დამოკიდებულია ჩართულ ფაქტორებზე, ხოლო $R_2^2 = 0,9901$, ე.ი. y_2 – 99,01% შერჩეულ ფაქტორებზე;

– ფიშერის კრიტერიუმი $F_{კრ} \square F(9,5) = 3,48$ მგზავრბრუნვის შემთხვევაში

$$F = \frac{R_1^2(15-5-1)}{(1-R_1^2) \cdot 5} = 40,51 > F_{კრ}$$

ტვირთბრუნვის $F = \frac{0,9901(15-6-1)}{0,0099 \cdot 6} = 133,35 > 3,37 = F_{კრ}(9,6)$.

მიღებული შედეგები ადასტურებენ იმას, რომ მოდელებით განსაზღვრული პროგნოზები იქნებიან მაღალი ალბათობის, ხოლო მგზავრბრუნვაზე და ტვირთბრუნვაზე, როგორც სატრანსპორტო სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებზე მოქმედი შერჩეული ფაქტორების მიხედვით წრფივი მრავალფაქტორული მოდელები არიან მნიშვნელოვანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ანანიაშვილი - ეკონომეტრიკა, „მერანი“, თბილისი, 2012, გვ. 411;
2. Gujarati Basio. Econometrics. Fourth Editions. The Mc Grow-Hill companies, 2004.
3. Попова Е.В., Кузнецова К.В., Шилова Н.В. Городской общественный транспорт в развитых странах: особенности организации и способы финансирования // Российский экономический журнал. 2013. № 2. с. 111-117.

**DIRECTIONS OF MANAGEMENT AND ORGANIZATION OF
IMPROVEMENT OF ECONOMIC EFFICIENCY OF THE
GEORGIA UNIFIED TRANSPORT SYSTEM**

Makvala Svanidze, Salome Davituliani

Abstract

One of the factors contributing to the economic efficiency of Georgia's unified transport system is the forms of management and organization of entrepreneurial activities in the field of transport services. In addition, the economic efficiency of the transport system depends heavily on both the volume of cargo transported and the number of passengers transported, for which economical-mathematical linear multi factor models are compiled. Estimates by model identification criteria are given.

**НАПРАВЛЕНИЯ УПРАВЛЕНИЯ И ОРГАНИЗАЦИИ ПОВЫШЕНИЯ
ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЭФФЕКТИВНОСТИ ЕДИНОЙ
ТРАНСПОРТНОЙ СИСТЕМЫ ГРУЗИИ**

Маквала Сванидзе, Саломе Давитулиани

Резюме

Одним из факторов, способствующих экономической эффективности единой транспортной системы Грузии, являются формы управления и организации предпринимательской деятельности в сфере транспортных услуг. Кроме того, экономическая эффективность транспортной системы существенно зависит как от объема перевозимого груза-грузообороте, так и от количества перевозимых пассажиров-пассажираобороте, для которых разработаны экономико-математические линейные многофакторные модели. Приведены оценки по критериям идентификации модели.

უაკ 625; 30

კორპორაციული მენეჯმენტის განვითარების სრულყოფა საქართველოს მანქანათმშენებლობაში

ვ. ზეიკიძე, გ. მაისურაძე, თ. რუხაძე, თ. ქამხაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175,

თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: საქართველოში დღეისათვის სამეწარმეო ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე არ არსებობს კორპორაციული მართვის სახემძღვანელო პრინციპები, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის საერთაშორისო კომპანიებთან ურთიერთობაში და ქვეყანაში ეკონომიკის და მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში, როგორცაა მანქანათმშენებლობა. საწყის ეტაპზე აუცილებელია ე.წ. „რბილი სამართლის“ სარეკომენდაციო დოკუმენტების შემუშავება და მისი პრაქტიკაში გამოყენების შედეგად შესაძლებელი გახდება ამ დოკუმენტის დახვეწა და სრულყოფა. მსოფლიო კორპორაციული მართვის გამოცდილების პრაქტიკული გამოყენება საშუალებას იძლევა, რომ საქართველომ წარმატებით უნდა გადაჭრას მანქანათმშენებლობის წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანები.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, მანქანათმშენებლობა, ტრანსპორტი, კორპორაცია.

თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტირებული კორპორაციული კაპიტალის მასშტაბები, გაფართოვდა კაპიტალის დაბანდების გეოგრაფია, ჩამოყალიბდა კაპიტალის დაბანდების ახალი ფორმები და მეთოდები. მსოფლიო კორპორაციული მართვის გამოცდილების პრაქტიკული გამოყენება საშუალებას იძლევა საქართველომ წარმატებით გადაჭრას მის წინაშე მდგომი ისეთი ამოცანები, როგორცაა — მანქანათმშენებლობის მომქმედ და ახალ დაფუძნებულ საწარმოებში კორპორაციული მენეჯმენტის ინფორმაციული

გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; საერთაშორისო კორპორაციების წილობრივი მონაწილეობით შექმნილ მანქანათმშენებელ საწარმოებში კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა; მანქანათმშენებელი კომპანიების მენეჯერთა საქმიანობაზე შიდა კონტროლის განხორციელება; კორპორაციათა აქციონერების მენეჯმენტის ინფორმაციული გამჭვირვალობის დანერგვა; ყველა კატეგორიის აქციონერთა მიმართ სამართლიანი მოპყრობის სისტემის დანერგვა; კორპორაციული მენეჯმენტის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვით ჯანსაღი ფინანსური გარემოს შექმნა.

ამჟამად მსოფლიოში სახეზე გვაქვს კორპორაციული მართვის მოდელის სრულყოფის შემდეგი ძირითადი მიმართულებები — კორპორაციებში ინფორმაციის გამჭვირვალობაზე მოთხოვნის გაძლიერება; კორპორაციათა მართვის ორგანოებზე აქციონერთა მხრიდან ზემოქმედების გაძლიერება; კორპორაციებში ინვესტორთა და წვრილ აქციონერთა უფლებების დაცვა კანონმდებლობის სრულყოფით; კორპორაციათა საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის გამკაცრება და მოგების ხელოვნურად გაზრდის დაუშვებლობა.

დიდ ბრიტანეთში 1992 წლიდან ქედბერის კოდექსის გამოქვეყნების შემდეგ, იგი გადამუშავებული იქნა ევროპული სახელმწიფოების მიერ და დღეისათვის კორპორაციული მენეჯმენტის ბაზა 350 კორპორაციული მართვის კოდექს მოიცავს, რომელიც ძირითადად ეხება დირექტორთა საბჭოების საქმიანობას, მასზე კომპანიათა აქციონერების ხელმისაწვდომობას და მის პერიოდულ განახლებას. საქართველოში დღეისათვის სამეწარმეო ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე არ არსებობს კორპორაციული მართვის სახემძღვანელო პრინციპები, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის საერთაშორისო კომპანიებთან ურთიერთობაში და ქვეყანაში ეკონომიკის და მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში, როგორცაა მანქანათმშენებლობა. საწყის ეტაპზე აუცილებელია ე.წ. „რბილი სამართლის“ სარეკომენდაციო დოკუმენტების შემუშავება და მისი პრაქტიკაში გამოყენების შედეგად შესაძლებელი გახდება ამ დოკუმენტის დახვეწა და სრულყოფა.

კორპორაციული მართვის ქართული მოდელის სპეციფიკა გამოყენებული უნდა იქნეს სამამულო მანქანათმშენებელი კორპორაციების მართვის კოდექსის შემუშავებისას. საქართველოს მანქანათმშენებლობას ამ კუთხით დიდი სამომავლო პერსპექტივები გააჩნია, რადგან ქვეყანაში მისი თანამედროვე დარგების აღორძინების ხელშეწყობაზე მრავალმა საეთაშორისოდ აღიარებულმა კომპანიებმა გამოხატეს მზადყოფნა. ახლო მომავალში ქ. ქუთაისში იგეგმება ელექტრომობილების ქარხნის ამოქმედება. ამ საკითხით დაინტერესებულია და სტრატეგიულ პარტნიორობაზე მიიღეს გადაწყვეტილება მსოფლიოში ელექტრომობილების მწარმოებელმა ისეთმა გიგანტებმა როგორცაა, „ჩანგი“, „ვოლვო“, „ფოლცვაგენი“, „ფორდი“. მათმა ერთობლივმა მმართველობამ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ უკვე 2020 წლიდან საქართველო მსოფლიო ბაზარს მიაწვდის ახალ თანამედროვე ელექტრომობილებს.

ძალზე სერიოზულ პარტნიორობაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ჩინურ ZTE Corporation-სა და გერმანულ EURABUS-თან FregioBus-ის ინიციატივით. ამ ორი უდიდესი კორპორაციის დახმარებით უახლოეს მომავალში საქართველო ელექტროავტობუსების პირველ ნაკადს გამოუშვებს. ქართული მხარის წარმომადგენლებმა ჩინურ კორპორაცია ZTE-ში გაიარეს სტაჟირება და ხელშეკრულებებსაც მოეწერა ხელი. საწარმო გერმანულ-ჩინურია, სადაც ელექტროავტობუსები აზიური, ამერიკული და ევროპული ბაზრებისთვის იქმნება. ევროპული ქვეყნებისთვის განკუთვნილი პროდუქციის წარმოებაში წამყვან როლს EURABUS თამაშობს. ტრანსპორტს ევროპული კომპლექტაცია აქვს, შესაბამისად სტანდარტიც უმაღლესია. სატრანსპორტო საშუალება ადაპტირებულია შშმ პირებისთვისაც. ავტობუსის ნაწილები გერმანიაში მზადდება, ხოლო ალუმინის კორპუსი, მთავარი ღერძი და კორპუსის შეკვრა, მთლიანად ჩინურ მხარეზეა მინდობილი. საწყის ეტაპზე, გერმანული და ჩინური კომპანიები ავტობუსის ასაწყობად ნაწილებს გამოგზავნიან, ქართულ საწარმოში კი, უბრალოდ ელექტროავტობუსების საბოლოო პროდუქტი შეიქმნება.

FregoBus-სი სამომავლოდ ავტობუსის ნაწილების საქართველოში წარმოებასაც გეგმავს – შესაძლოა მინები, ალუმინის კორპუსები და სკამები, სწორედ ქართულმა კომპანიებმა დაამზადონ. ამ შემთხვევაში ძირითადი დაინტერესებული მხარე გერმანიაა, რადგან საქართველოში წარმოება დაბალ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. გარდა იმისა, რომ ჩინეთის მსგავსად საქართველოში გადასახადები და კომუნალური მოსაკრებლები დაბალია, იაფია ნედლეული და მუშახელი, ასევე საქართველო გეოგრაფიულად გერმანიასთან ბევრად ახლოსაა. ამასთან ერთად, ქვეყანაში შესაძლებელია საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ როგორც ევროპასთან, ასევე ჩინეთთან, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული. აქედან გამომდინარე, საქართველოში წარმოება გერმანიისთვის ბევრად იაფი და ხელმისაწვდომია.

მანქანათმშენებლობაში სამომავლოდ კორპორაციული მართვის პრინციპების დამკვიდრებისათვის აუცილებელია სამრეწველო საწარმოებისათვის სპეციალური მართვის კოდექსის შემუშავება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ახლად შექმნილ კორპორაციებში მართვის სტრუქტურის გამჭვირვალობა და აღიაროს კომპანიათა ერთგულება კორპორაციული მართვის პრინციპების მიმართ. ამ მიზნის ხორცშესხმისათვის აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა — აუცილებელია პასუხისმგებლობის მქონე და ანგარიშვალდებული მენეჯმენტის არსებობა; კომპანიებში ეფექტური სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოების ფორმირება; კომპანიაში რისკის მართვისა და შიდა აუდიტის ეფექტური სისტემის დანერგვა; ინფორმაციის სათანადო გამჟღავნება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

საქართველოს მანქანათმშენებლობაში კორპორაციული მართვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა. ამ მიზნით ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს კანონში „მეწარმეობის შესახებ“, რადგან აღნიშნულ კანონში არ არის გათვალისწინებული აქციონერთა უფლებების დაცვა, ასევე დარეგულირებული

ხემდღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი. აღნიშნულის გასწორების მიზნით წარმოდგენილი კანონიდან ამოღებული უნდა იქნეს მე-4 თავი და მის სანაცვლოდ უნდა შემუშავდეს ახალი კანონი „ სააქციო საზოგადოებების მართვის შესახებ“ ევროპის განვითარებული ქვეყნების მსგავსად, რომელიც დაარეგულირებს კორპორაციათა მართვის გამჭვირვალობას. ამავე დროს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში უნდა გასწორდეს 55-ე მუხლის მე-2 ნაწილში არსებული ხარვეზი, რომლის თანახმადაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ამ სააქციო საზოგადოების დირექტორი.

კომპანიებში ეფექტური კორპორაციული მენეჯმენტის განხორციელებისათვის გაყოფილი უნდა იქნეს მმართველობა და მონიტორინგი. განვითარებული ქვეყნების კორპორაციული მართვის პრაქტიკაში სამეთვალყურეო საბჭო ძირითადად მონიტორინგს უწევს დირექტორთა საქმიანობას და უნდა გამოირიცხოს სამეთვალყურეო საბჭოებში დირექტორთა წევრობა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ევროკავშირის პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოსთვის დამუშავდეს სამრეწველო საწარმოებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელის უზრუნველყოფ და დააჩქარებს ქვეყანაში კორპორაციული მენეჯმენტის განვითარებას მანქანათმშენებლობაში და მიმზიდველს გახდის ამ დარგს უცხოელი ინვესტორებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. გოცირიძე - კორპორაციული მენეჯმენტი, თბ. 2018 წ.;
2. გ. მახარობლიშვილი - კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, თბ., 2015 წ.;
3. საქართველოს კანონი - „მეწარმეთა შესახებ“, თბილისი, 2011 წ.;
4. [www. CorpGovuz. Org.](http://www.CorpGovuz.Org)
5. [www.ecgi.org/codes.](http://www.ecgi.org/codes)
6. [www. Corporacia. org](http://www.Corporacia.org)

Improvement of Corporate Management Development in Georgian Machine Engineering

V. Zeikidze, G. Maisuradze, T. Rukhadze. T. Khamkhadze

Abstract

Due to the peculiarities of business relations in Georgia, there are no guiding principles of corporate management, which create significant problems in the relations with international companies and in the development of the country's economy and such important fields as machine-building. In the initial phase, it is necessary to have a so-called "soft-law". The development of soft law recommendation documents and its practical application will make it possible to refine it. Practical application of world-class corporate management experience allows Georgia to successfully address key driving challenges.

УСОВЕРШЕНСТВОВАНИЕ РАЗВИТИЯ КОРПОРАТИВНОГО МЕНЕДЖМЕНТА В МАШИНОСТРОЕНИИ ГРУЗИИ

Важа Зеიკიძე, გიორგი მაისურაძე, თამარ რუხაძე, თამარი ჯამხაძე

Резюме

Исходя из особенностей развития предпринимательской деятельности в Грузии не существует руководящих принципов корпоративного управления, что создаёт значительные проблемы при взаимодействии с международными компаниями и перед экономикой страны, в том числе в развитии такой важной отрасли как машиностроение. на начальном этапе обязательна разработка рекомендационных документов т.н. „мягкого законодательства“ и в результате применения на практике станет возможным улучшение и совершенствование этих документов. Практическое применение опыта корпоративного управления в мире предоставляет возможность успешного решения стоящих перед машиностроением Грузии основных задач.

უკ 339; 626.9.

ლოგისტიკის ეფექტიანობა და საქართველო

მზია მოისწრაფიშვილი, თეა არჩვაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: ნაშრომში გადმოცემულია ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ბანკის ინდექსს, ქვეყნდება ყოველ ორ წელში ერთხელ და ფასდება 5 ძირითადი კრიტერიუმით, როგორებიცაა: 1. სავაჭრო და სატრანსპორტო გარემოს ეფექტიანობა; 2. სავაჭრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი; 3. კონკურენტუნარიან ფასებში საერთაშორისო გადაზიდვების წარმოების სიმარტივე, 4. ლოგისტიკის მომსახურების სიმარტივე და ხარისხი; 5. მიწოდება დაგეგმილ ან მოსალოდნელ ვადებში. ავტორების აზრით ლოგისტიკის ეფექტიანობის განვითარებისათვის საჭიროა: ტრანსპორტის და ლოგისტიკური სისტემის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია; ლოგისტიკური ჯაჭვის განვითარება.

საკვანძო სიტყვები: ლოგისტიკის ეფექტიანობა, მსოფლიო ბანკის ინდექსი, საბაჟო სისტემა, ინფრასტრუქტურის ხარისხი.

შესავალი

მიმდებამდე გზავნილის მიტანა და ხარისხი, მათგან ყველაზე მნიშვნელოვნად, შეიძლება ჩაითვალოს ლოგისტიკის მაჩვენებელი, რადგან მასთან მჭიდრო კავშირი აქვს საბაჟო სისტემას და ინფრასტრუქტურის ხარისხს. საბაჟო სისტემა და ინფრასტრუქტურის ხარისხი კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტვირთის რაოდენობასა და გადაზიდვის ხარისხზე.

პროექტის დამაარსებლის, ჟან ფრანსუა რავის, მოსაზრებით „ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსის დახმარებით ადგილი აქვს საკმაოდ რთულ რეალობასთან, სახელდობრ, მიწოდების ჯაჭვის მახასიათებლის გამოხატვის მცდელობასთან.

ქვეყანაში ლოგისტიკის ხარჯების მაღალ დონეს, რომელიც მის მოცულობას განსაზღვრავს, ხშირად წარმოადგენს არა მანძილი სავაჭრო პარტნიორებს შორის, არამედ მიწოდების ჯაჭვის საიმედოობა“.

ძირითადი ნაწილი

ლოგისტიკური ეფექტიანობის ინდექსი გამოითვლება საერთაშორისო, ეროვნული ან რეგიონალური ლოგისტიკურ და სასაწყობო ოპერატორების, სატრანსპორტო-საექსპედიტორო კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. გამოკითხვა შედგება ორი ნაწილისაგან, განისაზღვრება საერთაშორისო და ეროვნული ინდექსი.

საერთაშორისო ინდექსი უზრუნველყოფს ქვეყნის ხარისხობრივ შეფასებას ქვეყნის გარეთ მომუშავე ლოგისტიკის სპეციალისტების მიერ.

ეროვნული, შიდა ინდექსი უზრუნველყოფს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას მასში მომუშავე ლოგისტიკის სპეციალისტების მიერ. იგი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ლოგისტიკის გარემოს, ინფრასტრუქტურის ძირითადი ლოგისტიკური პროცედურის შესრულების დროსა და ხარისხს. საბოლოოდ ხდება ინდექსის ინტერვალური მაჩვენებლის გამოანგარიშება და განისაზღვრება რეიტინგში ამა თუ იმ ქვეყნის ადგილი. გამოკითხვაში მონაწილეობს 150-160 ქვეყანა. მათ რიცხვს 2010 წლიდან საქართველოც შეუერთდა.

იმის მიუხედავად, რომ საქართველო ტრანზიტულ ქვეყნად ითვლება და აქვს უდიდესი პოტენციალი, მსოფლიო მნიშვნელობის ლოგისტიკის ცენტრად იქცეს ლოგისტიკის ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით (ინდექსში) დაბალ და არასტაბილურ ადგილს იკავებს. მაგალითად: საქართველო 2016 წელს 2,35 ქულით 130 ადგილს იკავებს, 2014 წელს 2,51 ქულით. 116-ე ადგილი დაიკავა, 2012 წელს კი 2,77 ქულით 77 ადგილზე იმყოფებოდა.

როგორც ვხედავთ, 2016 წელს 2014 წელთან შედარებით საქართველოს პოზიცია 14 ადგილით შემცირდა 2012 წელთან შედარებით კი 53 ადგილით.

ინდექსში საქართველოს პოზიციის მკვეთად გაუარესება მეტყველებს, რომ საბაჟო და სატრანსპორტო სისტემაში წლების განმავლობაში ცვლილება არ

მომხდარა და არც ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად გაკეთებულა რამე. ამ ფონზე კი სხვა ქვეყნებმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადეს, ამიტომაც მრავალმა ქვეყანამ და მათ შორის ყოფილმა საბჭოთა ქვეყნებმა, რომლებსაც საქართველო 2012 წელს უსწრებდა 2014 და 2016 წლებში იგი უკან ჩამოიტოვეს.

მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების რეიტინგი წლების მიხედვით, თუ როგორ იყო გადანაწილებული ადგილები ქულების მიხედვით:

	2012 წელი	2014 წელი	2016 წელი
ლიტვა	2,95	3,18	3,36
ესტონეთი	2,86	3,26	3,36
უკრაინა	2,85	2,90	2,74
ლატვია	2,78	3,40	3,33
საქართველო	2,77	2,51	2,35
ყაზახეთი	2,65	2,70	2,75
ბელარუსია	2,61	2,64	2,40
რუსეთი	2,58	2,69	2,57
სომხეთი	2,66	2,67	2,21
აზერბაიჯანი	2,48	2,45	–
უზბეკეთი	2,46	2,39	2,40
მოლდოვა	2,33	2,65	2,61
ყირგიზეთი	2,35	2,21	2,16
ტაჯიკეთი	2,28	2,53	2,06
თურქმენეთი	–	2,30	2,21

როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს 2014-2016 წლებში საქართველომ კონკურენცია ვერ გაუწია ყაზახეთს, რუსეთს, სომხეთს, მოლდოვას, ბელარუსიას და უზბეკეთს (და რეიტინგში მე-10 ადგილს დაჯერდა).

2012 წელთან შედარებით ასევე მკვეთრად გაუარესდა ინდექსის მაჩვენებლის ქსელები, რაც მეტყველებს საბაჟო პროცედურების გართულებას, საერთაშორისო გადაზიდვების და საერთაშორისო გზავნილების სიმცირეს.

მაღალი შემოსავლიანობის ქვეყნებში სულ უფრო აღიარებენ „მწვანე ლოგისტიკის“ ე.ი. ეკოლოგიურად სუფთა ლოგისტიკური მომსახურების მნიშვნელობას და იზრდება მოთხოვნილება მასზე. ამ კონტექსტში იზრდება ყურადღება საქართველოს მთავრობის სტრატეგიული დოკუმენტის „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველოს 2020“ – მიმართ; ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისათვის

აღნიშნულ დოკუმენტში დასახულია ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსის გაუმჯობესების მიზანი, კერძოდ, 2017 წელს თუ იგი 3,1 გახდა, 2020 წელს – 3,3 უნდა იყოს.

